ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–9

2022 წელი, 15 აპრილი 10:30 სთ. ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
აკაკი ალადაშვილი
ზაზა თავაძე
ცოტნე კობერიძე
გიორგი ონიანი

მოწვეული პირები:

- გაიოზ თალაკვაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- დავით ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ ჩივაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი;
- მამუკა ჯაყელი - მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე;
- სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
- მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- თამარ მელიქიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. „ქალაქ თბილისში, მიხეილ აბრამიშვილის ქუჩა N37-ში მდებარე 77.08 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.088.01.554) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. "ქალაქ თბილისში, ურეკის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.03.001.071.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. "ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N106ე-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.166.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N51-ში მდებარე 37.90 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.015.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.327.13.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N18-ში მდებარე 95.51 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.007.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. "ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N104ზ-ში, კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, რაფაელ დვალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.011.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. "ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75-ში მდებარე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.007.037) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. "ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.055.014.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N67-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. "ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება N11-ში მდებარე 60.59 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.026.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, ზერი გაბრიელ სალოსის გამზირი N144-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.048) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. " ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.007.006.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. "ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.058.01.525, N01.19.21.002.058.01.526, N01.19.21.002.058.01.527,

N01.19.21.002.058.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.020.559) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მიკრო/რაიონის, კორპუსი N304-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.026.029) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის: N1 და N2 (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.133) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.675) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ზაბახიძეს (პ/ნ. 38001000396) (უფლებამონაცვლე: ფ/პ ხათუნა გრძელიშვილი, პ/ნ. 38001008104) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2013 წლის 17 ივლისის N0-208-9-7535 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

27. „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების" შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. „სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.026.024) 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მანანა ქვათაძისთვის (პ/ნ: 01030002340) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

35. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების

შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №8-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

36. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

38. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

39. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

40. მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ: N01.10.07.007.093) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების საკითხის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **თამარ მელიქიშვილმა**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, დედაქალაქის რამდენიმე რაიონში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თაობაზე, რიგი განკარგულებათა პროექტები, მათ შორის, **მომხსენებელმა** დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ აბრამიშვილის ქუჩა N37-ში, მე-3 სართულზე მდებარე 77.08 კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად** - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს, მოქალაქე **ზურაბ ჯაბიშვილს**, რომელიც 2005 წლიდან დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, ზურაბ ჯაბიშვილისა და მისი ოჯახის ზემოაღნიშნულ მისამართზე ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი ასევე დასტურდება შსს-ს წერილითა და მოსახლეობასთან გასაუბრების ოქმებით.

თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზურაბ ჯაბიშვილის და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, თუმცა აღნიშნულ პირს ერიცხება 75.44 კვ.მ. სარდაფი (საერთო სარგებლობა).

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა და კომუნალური გადახდის ქვითრები.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ**,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა**, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. თამარ მელიქიშვილმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხზე და განმარტა, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ურეკის ქუჩა N4-ში მდებარე 38.50 კვ.მ ფართი პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს, მოქალაქე ლილი ზუბიაშვილს, რომელიც 2008 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას, რაც დასტურდება შსს-ს წერილით, ნაძალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების ოქმითა და ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობა „აისი 21"-ის კრების ოქმით.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, მოქალაქე ლილი ზუბიაშვილი შვილთან ერთად ცხოვრობდა ქურთის მუნიციპალიტეტის სოფ. თამარაშენში და 2008 წლის ომის შედეგად დევნილი, ამჟამად არ არის დაკმაყოფილებულები არც ბინით და არც კომპენსაციით.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ლილი ზუბიაშვილის და მისი ოჯახის წევრის სახელზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. თამარ მელიქიშვილმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხზე და განმარტა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი N106 ე-ში მდებარე 68.20 კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თენგიზ მგელაძეს, რომელიც შსს-ს ცნობისა და შესაბამამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტების თანახმად, ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 1999 წლიდან დღემდე.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ წარსულში, მოქალაქე თენგიზ მგელაძე გახლდათ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თადარიგის მაიორი და მასზე განაწილდა დაინტერესებაში არსებული საცხოვრებელი ფართი, რომლის რეგისტრაცია/პრივატიზების შემთხვევაში აღნიშნულ მოქალაქეს არ ექნება პრეტენზია თავდაცვის სამინისტროს მიმართ სხვა საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თენგიზ მგელაძეზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. თამარ მელიქიშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-4** საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგეობის პოზიციის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N51-ში მდებარე **37.90 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს - **მოქალაქე მეგი კანდელაკს,** რომელიც დაახლოებით **20** წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და მოქალაქეების განცხადებებით.

როგორც **თამარ** მელიქიშვილმა აღნიშნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია, თბილისი ენერჯის წერილი, რომლის თანახმად, მეგი კანდელაკი მონაცემთა ბაზაში აბონენტად რეგისტრირებულია 2006 წლიდან. ამასთანავე, წარდგენილია აღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა და ამონაწერები აბონენტთა ბარათიდან. გარდა ამისა, წარმოდგენილია მეგი კანდელაკის ოჯახის წევრების თანხმობა, ზემოაღნიშნულ უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების მეგი კანდელაკისთვის რეგისტრაციაზე.

დასასრულს, **თამარ** მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მეგი კანდელაკის და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხს, თამარ მელიქიშვილმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის თანახმად, დიდუბის რაიონის გამგეობის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში, მესამე სართულზე მდებარე 36.44 კვ.მ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინო მგელაძეს, რომელიც 1999-2000 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილით, ბმა „დიოსკურია" ოქმითა და ნაძალადევი-ლოტკინის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, აღნიშნულ პირზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 საკითხზე საუბრისას, თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N18-ში მდებარე 95.51 კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ქეთევან ჩიგოგიძეს, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება მოქალაქეების განცხადებებითა და შსს-ს გასაუბრების ოქმებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. თამარ მელიქიშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხთან მიმართებაში განმარტა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მანანა ლეჟავასა და რამაზ წიკლაურს (ჯამში 81.50 კვ.მ), რომლებიც 2002-2012 წლებიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია კომუნალური გადახდის ქვითრები, რომლებშიც აბონენტად რეგისტრირებული არიან ზემოთ მითითებული პირები.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მანანა ლეჟავასა და რამაზ წიკლაურზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა,

მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. თამარ მელიქიშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8 საკითხი და განმარტა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, რაფაელ დვალის ქუჩა № 11-ში მდებარე 54.49 კვ. მ. ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ფიქრია ხაბურზანიას, რომელიც 2004 წლიდან დღემდე ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება შსს-ს ოქმებითა და მოქალაქეების განცხადებებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - თამარ მელიქიშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისიწნებული მე-9 საკითხი და განმარტა რომ საბურთალოს რაიონის გამგეობის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ დავით ნებიერიძესა (24.15 კვ.მ) და მარიკა ჭანტურიძეს (25.5 კვ.მ), რომლებიც 2006- 2012 წლებიდან ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებში რაც დასტურდება შსს-სა და საბურთალოს რაიონის გამგეობის დიღომი-ვაშლიჯვრის საუბნო განყოფილების წერილებით, ასევე მოქალაქეების განცხადებებით.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა,** მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. თამარ მელიქიშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი, რომლის შესაბამისად ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში დაახ. 90 კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N22.423.464 განკარგულებით გათვალისწინებულ პირებს (4 (ოთხი) პირი), რომლებიც დაინტერესებაში არსებულ საცხოვრებელ ფართებში ცხოვრობენ 1989-1994-1998 წლებიდან, რაც დასტურდება ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებებით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობებით, გამგეობის წერილითა და შემოწმების აქტებით.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა,** მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. თამარ მელიქიშვილმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-11 საკითხზე, რომლის მიხედვით, სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, პოლიციის ქუჩა N7ა-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში 221

კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N22.416.472 განკარგულებით განსაზღვრულ პირებს (3 (სამი) პირი), რომლებიც 2010 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილებით, სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - თამარ მელიქიშვილმა ვრცლად ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-12 საკითხზე და განმარტა, რომ ქ. თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში დაახ. ა46 (ორმოცდაექვსი) კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N22.417.471 განკარგულებით განსაზღვრულ პირებს (3 (სამი) პირი), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში (დაახლოებით 20 (ოცი) წელი) ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება შსს-ს წერილებით, შესაბამისი გამგეობის ოქმებითა და დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა და კომუნალური გადასახადის ქვითრები.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. თამარ მელიქიშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-13 საკითხი და განმარტა, რომ ჩუღურეთის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ნორიოს აღმართის N24-ში მდებარე 66.73 კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამარი ჭანიშვილს, რომელიც დაახლოებით 11 (თერთმეტი) წელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, შსს-ს წერილითა და მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად ზემოაღნიშნული პირი 2017 წლის 1 მარტამდე მუშაობდა სსიპ ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის N6-ე ფილიალში.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თამარ ჭანიშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. თამარ მელიქივშილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-14 საკითხი, რომლის მიხედვით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა № 67-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება (დაახ. ჯამში 262.კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის

№22.478.517 განკარგულებით განსაზღვრულ პირებს (ოთხი პირი), რომლებიც, 1976-1985-1995 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, შსს-ს წერილით, გამგეობის შემოწმების აქტებითა და მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. თამარ მელიქიშვილმა წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-15 საკითხი და განმარტა, რომ გლდანის რაიონის გამგებელის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში 208.38 კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №22.477.520 განკარგულებით განსაზღვრულ, დევნილის სტატუსის არმქონე პირებს (ოთხი პირი). რომლებიც მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 2002-2005 წლებიდან, რაც დასტურდება, გლდანის რაიონის წერილებითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია, შსს-ს წერილები, რომელთა თანახმად, ზემოაღნიშნული პირები 2001–2007 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. თამარ მელიქიშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-16 საკითხი, რომლის შესაბამისად, ისნის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება N11-ში მდებარე 60.59 კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს - მოქალაქე ავთანდილ გულაშვილს, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტით. ამასთან, შსს-ს წერილით ირკვევა, რომ ავთანდილ გულაშვილი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ შესაბამის უწყებებში წარდგენილი სს „თელასის" წერილის თანახმად, ავთანდილ გულაშვილი აბონენტად რეგისტრირდება 1996 წლიდან.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ავთანდილ გულაშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-17 საკითხს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგნელმა - თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ ისნის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №144-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №22.528.566 განკარგულებით განსაზღვრულ პირებს ((ოთხი პირი) ჯამში - 126, 25კვ.მ ფართი)),

რომლებიც 2008-2010 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული ზოგიერთი პირი ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური, პირველი პუნქტი და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. მომხსენებელმა - თამარ მელიქიშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-18 საკითხი და აღნიშნა, რომ ვაკის რაიონის გამგებელის წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში 674 კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N22.519.578 განკარგულებით დადგენილ - დევნილის სტატუსის არმქონე პირებს (12(თორმეტი) პირი), რომლებიც 2007 – 2008 -2010 წლებიდან ცხოვრობენ მათ დაინტერესებაში არსებულ ფართებში, რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

თამარ მელიქიშვილმა კომისის წევრებს მოახსენა, რომ ქონების გადაცემით დაინტერსებული პირები წარსულში მსახურობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში. მისივე თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლის მიხედვით, დაინტერესებული პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონების საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, მათ სახელმწიფოსთან ან/და თვითმმართველ ერთეულთან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნა ან/და პრეტენზია არ ექნებათ.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. თამარ მელიქიშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-19 საკითხი, რომლის მიხედვით, სამგორის რაიონის გამგეობის რეკომენდაციით გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუს N1-ში, პირველ სართულზე მდებარე 39.80კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გიორგი გოგაშვილს, რომელიც დაახლოებით თვრამეტი წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დადასტურებულია შსს-ს წერილით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, სააგენტოში წარდგენილია შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, რომლითაც ისინი ადასტურებენ გიორგი გოგაშვილის აღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს, ამასთან, აცხადებენ თანხმობას აღნიშნული საცხოვრებელი ბინის გიორგი გოგაშვილისთვის დაკანონება/პრივატიზების თაობაზე.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, გიორგი გოგაშვილის ოჯახის წევრს მანანა მჭედლიშვილს საკუთრებაში ერიცხებოდა ქ. თბილისში, გრიგოლ ხანძთელის მე-2 ჩიხი N5-ში მდებარე 20.50 კვ.მ ფართი რომელიც გასხვისდა 2011 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილების საფუძველზე. სხვა ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:
წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. დღის წესრიგით გათვალიწინებულ მე-20 საკითხად თამარ მელიქიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი, რომლის მიხედვით, სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, პოლიციის ქუჩა N12-ში მდებარე 46.46 კვ.მ; 11.93 კვ.მ; 10.38 კვ.მ და 10.70 კვ.მ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს - მოქალაქე ნოდარ შანყულაშვილს, რომელიც 2000-2002 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, შსს-ს წერილით, სამგორის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბნო განყოფილების შემოწმების აქტითა და ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების ხელმოწერებით.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია, სააქციო საზოგადოება „თელასის“ მიერ გაცემული აბონენტის ბრუნვის ისტორია, სადაც აბონენტად მოხსენიებულია მოქალაქე ნოდარი შანყულაშვილი.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მოქალაქე ნოდარ შანყულაშვილის და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა, მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **თამარ მელიქიშვილმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.020.559) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

როგორც **მომხსენებელმა** განმარტა, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ **მიწის ნაკვეთი,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად** - 1 (ერთი) **ლარად** პრივატიზების გზით გადაეცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, **ავტოსადგომის მოწყობის მიზნით.**

დასასრულს, **თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაიცა რეკომენდაცია 244 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მიმდებარედ არსებულ კომერციულ ობიექტებთან დამოუკიდებელი მისასვლელი საავტომობილო გზის გათვალისწინებით, გადაეცეს სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა** და ფრაქციის „ ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის თავმჯდომარის მოადგილემ **ცოტნე კობერიძემ** მხარი არ დაუჭირეს განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. **თამარ მელიქიშვილმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მიკრო/რაიონის, კორპუსი N304-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.026.029) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ხორციელდება მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, კერძოდ, მოქალაქე ალექსი ელიავას საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველისა და მაია წყნეთელის ქუჩებს შორის მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი (**საკადასტრო კოდი: N01.20.01.104.001**) იცვლება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 975 კვ.მ მიწის ნაკვეთში, რომელიც მდებარეობს ვარკეთილის III მიკრორაიონის კორპუსი N304-ის მიმდებარედ.

საკითხის წარმომდგენა, კომისიის წევრებს მოახსენა, რომ მოქალაქე ალექსი ელიავას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ფაქტობრივად წარმოადგენს დაბა წყნეთში მდებარე ეკლესიის ეზოს, რომლითაც სარგებლობს მართლმადიდებელი ეკლესია და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ერთად ქმნის ერთიან სივრცეს.

საკითხის წარმომდგენმა გააჟღერა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია, რომლის მიხედვით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია 975 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება, მომიჯნავე არსებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის უზრუნველყოფის პირობით და სანაცვლოდ, ქ. თბილისში, წყნეთში, რუსთაველისა და მაია წყნეთელის ქუჩებს შორის მდებარე, 600 კვ.მ უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, სამსახური თანახმაა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გავრცელებული რზ-1 ფენის მოხსნა და ამავე რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის გავრცელება.

თამარ მელიქიშვილმა თქვა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით:

- ალექსი ელიავას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 372 000 (სამას სამოცდათორმეტი ათასი) ლარის ოდენობით;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 317 850 (სამას ჩვიდმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.

დასასრულს, სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ალექსი ელიავა არ აცხადებს არანაირ პრეტენზიას მიწის ნაკვეთების ღირებულებებს შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების მე-3 პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ**,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა** და ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **ცოტნე კობერიძემ** მხარი არ დაუჭირეს განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. **თამარ მელიქიშვილმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის: N1 და N2 (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.133) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი.

თამარ მელიქიშვილის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, კერძოდ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7320 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები იცვლება, შპს „ედემის“ საკუთრებაში არსებული 1310 კვ.მ. მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.090.030), რომელიც მდებარეობს, ქალაქ თბილისში, ამაღლების ქუჩა (ყოფ. დავითაშვილი), ჩიხი III, N8-ში.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა კომპანიამ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წელს გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონზე შეიძინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი მიწის ნაკვეთი. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 2 368 080 (ორი მილიონ სამას სამოცდარვა ათას ოთხმოცი) ლარი. აღნიშნული მიწის ნაკვეთების ერთ საკადასტრო ერთეულად გაერთიანების შემდგომ წარმოქმნილ ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდით დარეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით შპს „ედემმა“ 2019 წელს მიმართა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და გაიცა თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შეთანხმების თაობაზე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი), ამასთან, სამსახურის გადაწყვეტილებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზი. მოგვიანებით, არქიტექტურის სამსახურის მხრიდან კომპანიას უარი ეთქვა ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვაზე, ვინაიდან დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს დედაქალაქის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს აქტიურად გამწვანებულ სივრცეს და ისტორიულ უბანში სარეკრეაციო სივრცეების განვითარების კუთხით მისი როლი ქალაქისათვის მნიშვნელოვანია, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 1310 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება. ასევე, დადგინდა, რომ 7 320 კვ.მ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში.

საკითხის წარმომდგენმა, კომისიის წევრებს მოახსენა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ შეფასდა შპს „ედემის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, გენერალური გეგმის დამტკიცებამდე მინიჭებული

ფუნქციური ზონის გათვალისწინებით (საცხოვრებელი ზონა 5). დასკვნის შესაბამისად, 1310 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2021 წლის 27 სექტემბრის მდგომაორეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 817 810 (ორი მილიონ რვაასჩვიდმეტი ათას რვაასათი) ლარის ოდენობით. თუმცა, კომპანია არ დაეთანხმა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილ საბაზრო ღირებულებას და 2022 წლის 2 მარტს შპს „ედემის" მიერ წარმოდგენილ იქნა შპს „Colliers Georgia" -ს მიერ მომზადებული 2021 წლის 22 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნა. კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, როგორც გამწვანებული სივრცისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპების პრიორიტეტულობიდან და მისი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ უძრავი ქონებების ადგილმონაცვლეობა განხორციელდეს შპს „Colliers Georgia" -ს მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულებების გათვალისწინებით.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ შპს „Colliers Georgia" -ს მიერ მომზადებული 2021 წლის 22 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) აშშ დოლარს. ამასთანავე, შპს „Colliers Georgia" -ს მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარია.

ასევე, საკითხის წარმომდგენმა თქვა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 2 მარტის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7320 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საბაზრო ღირებულება 2022 წლის 1 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 5 641 610 (ხუთი მილიონ ექვსას ორმოცდაერთი ათას ექვსას ათი) ლარის ოდენობით, რომელმაც 1 მარტის მდგომარეობით შეადგინა 1 760 033 (მილიონ შვიდას სამოცი ათას ოცდაცამეტი) აშშ დოლარი. შესაბამისად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და "Colliers Georgia-ს" მიერ დადგენილ ღირებულებებს შორის არსებული სხვაობა (აშშ დოლარში) შეადგენს 350 033 (სამას ორმოცდაათი ათას ოცდაცამეტი) აშშ დოლარს.

სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, კომპანია თანხმობას აცხადებს 7320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით საკუთრებაში მიღებაზე და გამოთქვამს მზაობას გადაიხადოს "Colliers Georgia-ს" და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრული 7320 კვ.მ. უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობა - 350 033 (სამას ორმოცდაათი ათას ოცდაცამეტი) აშშ დოლარის ოდენობით და ასევე Colliers Georgia-ს" მიერ მომზადებულ ექსპერტიზის დასკვნებით გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების ღირებულებებს შორის არსებული სხვაობა - 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც ჯამურად შეადგენს 360 033 (სამას სამოცი ათას ოცდაცამეტი) აშშ დოლარს.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანიის მიერ საპრივატიზებო საფასური გადახდილ უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების გამოცემის დღეს არსებული, ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი გაცვლითი ვალუტის კურსის შესაბამისად. ამასთანავე, 7320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო პირობად განისაზღვრება:

- მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში;

- მოთხოვნის, შემთხვევაში N01.18.06.018.132 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მისასვლელი გზის უზრუნველყოფა.

აზრი გამოთქვა:

გიორგი ონიანის თქმით, საქმეში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის პარალელურად, წარმოდგენილია, კერძო აუდიტორული კომპანიის საექსპერტო დასკვნა. **გიორგი ონიანი** დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, არსებობს თუ არა პრეცედენტი იმისა, რომ სამხარაულის დასკვნის პარალელურად საქმეში ფიგურირებდეს ალტერნატიული, კერძო აუდიტორის საექსპერტო დასკვნა.

გიორგი ონიანი ასევე დაინტერესდა, თუ რატომ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ სამხარაულის შეფასება, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ასე უაპელაციოდ ენდობა ხოლმე უმრავლესობა.

გიორგი ონიანმა განმარტა, რომ არ ეთანხმება წარმოდგენილ საკითხს და აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი მეტ სარგებელს მიიღებდა.

დასასრულს, გიორგი ონიანმა ასევე უარყოფითი პოზიცია გამოხატა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურიმ პოზიციის მიმართ.

თამარ მელიქიშვილმა საპასუხოდ განმარტა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი სპეციალურად ამ მონაცვლეობისთვის არ შეფასებულა. მისივე თქმით, კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთთან მიმართებაში 2018 წლიდან დღემდე განიხილებოდა არაერთი მონაცვცლეობა, შესაბამისად, უკვე არსებობდა სამხარაულის დასკვნა. მისივე თქმით, თუკი მხარე არ დაეთანხმება სამხარაულის დასკვნას, მას შესაძლებლობა ეძლევა ალტერნატივის სახით წარმოადგინოს კერძო აუდიტორის საექსპერტო დასკვნა, ასეთი შემთხვევები არსებობს. საკითხის წარმომდგენმა ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკაში, სამხარაულისა და კერძო აუდიტორული კომპანიის საექსპერტო შეფასებები განსხვავდება, ვინაიდან ისინი იყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიას.

თამარ მელიქიშვილმა იქვე დასძინა, რომ მიწის მიმართებაში არსებობს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა, სკვერისა და რეკრეაციული ზონის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, ეს გარიგება იყო კოპმპრომისული შეთანხმება, ვინაიდან, დაინტერესებული პირი უპირატესობას ანიჭებდა Colliers Georgia" -ს მიერ მომზადებულ ექსპერტიზის დასკვნას. „წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გარიგება არ შედგებოდა" - განმარტა საკითხის მომხსენებელმა.

ზურაბ აბაშიძემ განმარტა, რომ მოსახლეობის პოზიციის გათვალისიწნებით, მიწის ნაკეთის რეკრეაციულ ზონადად დატოვება მისთვისაც აქტუალური საკითხია.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა და ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ, მხარი არ დაუჭირეს განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. მსგავსად დღის წესრიგით განსაზღვრული 22-ე და 23-ე საკითხებისა, თამარ მელიქიშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი და წარმოადგინა განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად მოქალაქე ვახტანგ საბახტარიშვილის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 366 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.047) და 366 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.048) მიწის ნაკვეთები იცვლება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთში, რომელიც მდებარეობს, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ახალი გენერალური გეგმის მიხედვით, აღნიშნული მოქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შეეცვალა ფუნქციური ზონა და ნაცვლად საცხოვრებელი ზონა 6-სა (სზ-6), ფუნქციურ ზონად განისაზღვრა სატყეო ზონა. ამასთან, ვახტანგ საბახტარიშვილს უარი ეთქვა მოთხოვნაზე, რომელიც გულისხმობდა გავრცელებული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილებას და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნას, იმ მოტივით, რომ აღნიშნული ცვლილება შეამცირებდა სატყეო ზონის ფართობს, ხოლო, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, პრიორიტეტულია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტყეებისა და სატყეო ტერიტორიების შენარჩუნება.

თამარ მელიქიშვილმა ასევე განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით, ვახტანგ საბახტარიშვილს უარი ეთქვა მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე, ვინაიდან, მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს გაუნაშენიანებელ სივრცეს და იმისათვის, რომ არ მოხდეს მიმდებარე ტერიტორიის ქაოტური განაშენიანება, საჭიროა მისი სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში.

სააგენტოს წარმომადგენელმა გააჟღერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახურების პოზიცია, რომლის მიხედვით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ქალაქეგმარებითი თვალსაზრისით და გამწვანებული ტერიტორიების შენარჩუნების მიზნით შესაძლებლად მიიჩნევენ აღნიშნული მონაცვლეობის განხორციელებას.

თამარ მელიქიშვილის თქმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად;

- ვახტანგ საბახტარიშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებამ, 2022 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგინა ჯამურად, 352 092 (სამას ორმოცდათორმეტი ათას ოთხმოცდათორმეტი) ლარი.

- ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 29 მარტის მდგომარეობით, შეადგინა 480 414 (ოთხას ოთხმოცი ათას ოთხას თოთხმეტი) ლარი.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილია ვახტანგ საბახტარიშვილის განცხადება, რომლითაც დაინტერესებული პირი თანხმობას აცხადებს განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის 128 400 (ას ოცდარვა ათას ოთხასი) ლარის გადახდა დედაქალაქის სასარგებლოდ, შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების მე-2 პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 25-ე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. ლევან ჟორჟოლიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული 25-ე საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

26. სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და შპს „ალმას" შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

საკითხის წარმომდგენმა, კომისიის წევრებს მოახსენა რომ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ" თავის ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების ელექტრონულ აუქციონში გაიმარჯვა შპს „ალმამ". ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და შპს „ალმას" შორის 2019 წლის 6 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში: ხელშეკრულება). ხელშეკრულების თანახმად, შპს „ალმას" გადაეცა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება. ხელშეკრულების მოქმედების ვადად თავდაპირველად განისაზღვრა 20 (ოცი) წელი - 2039 წლის 07 თებერვლამდე, ხოლო - რეკლამის განთავსების უფლების გადაცემის საფასური განისაზღვრა 14 547 124.99 (თოთხმეტი მილიონ ხუთას ორმოცდაშვიდი ათას ას ოცდაოთხი და ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი) ლარის ოდენობით, რომელიც უფლების მიმღებმა გადაიხადა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 მარტიდან 2020 წლის 29 მაისამდე პერიოდში, საქალაქთაშორისო ტრანსპორტთან ერთად შეიზღუდა მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება. ამასთან, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 24 დეკემბრამდე, 2021 წლის 3 იანვრიდან 2021 წლის 16 იანვრამდე და 2021 წლის 16 იანვრიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე (მხოლოდ შაბათ-კვირას) პერიოდით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირება. აღნიშნული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შესაბამის

პერიოდში შეუძლებელი გახადა შპს „ალმას“ მიერ რეკლამის განთავსების უფლების სრულფასოვნად რეალიზაცია.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ შპს „ალმამ“ სააგენტოში წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნები, რომელთა თანახმად, დროის იმ მონაკვეთის საკომპენსაციოდ, როდესაც შეჩერებული იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება და უფლების მიმღებმა ვერ შეძლო ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზაცია, ხელშეკრულების მოქმედების ვადა უნდა გაგრძელებულიყო დამატებით ჯამში 46 (ორმოცდაექვსი) თვით. მხარეთა მოლაპარაკებების შედეგად და მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, მიღწეული იქნა შეთანხმება ხელშეკრულების ვადის 18 (თვრამეტი) თვით (2040 წლის 07 თებერვლამდე) გაგრძელების თაობაზე, რის შესახებაც 2021 წლის 09 თებერვალს გაფორმდა შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულება.

სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პანდემიის გათვალისწინებით, 2021 წლის 14 აგვისტოდან 2021 წლის 13 სექტემბრამდე ქალაქ თბილისში შეჩერებული იყო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა როგორც საავტომობილო ტრანსპორტით, ისე მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო). შეზღუდვებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში კვლავ შეუძლებელი გახდა უფლების მიმღების მიერ რეკლამის განთავსების უფლების სრულფასოვნად რეალიზაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, უფლების მიმღებმა სააგენტოში წარმოადგინა სამხარაულის დასკვნა და მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. აღნიშნული დასკვნის თანახმად, 29 (ოცდაცხრა) თვიანი პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული უფლების მოქმედების პერიოდი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების გადაცემის ამჟამად მოქმედი ვადის (2040 წლის 07 აგვისტო) ამოწურვის შემდეგ, რათა კომპენსირებული იქნეს დროის ის მონაკვეთი (2021 წლის 14 აგვისტოდან 2021 წლის 13 სექტემბრამდე), როდესაც ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერების გამო, უფლების მიმღებმა ვერ შეძლო რეკლამის განთავსების უფლების სრულფასოვნად რეალიზაცია. შესაბამისად, წარმოდგენილი განცხადებით, შპს „ალმამ“ მოითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და მისი მოქმედების ვადის 29 (ოცდაცხრა) თვით გაზრდა.

მარიამ კვერნაძემ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული დასკვნით დადგენილი 29 (ოცდაცხრა) თვიანი ვადისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, ანალოგიურ საკითხზე ხელშეკრულებაში 2021 წლის 09 თებერვალს განხორციელებული ცვლილების მსგავსად, მხარეთა მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება ხელშეკრულების მოქმედების ვადის მითითებულზე მცირე ხნით, დამატებით 12 (თორმეტი) თვით (2041 წლის 07 აგვისტომდე) გაგრძელების თაობაზე. ხელშეკრულებაში აღნიშნული ცვლილების შეტანაზე თანხმობის შესახებ სააგენტოში წარმოდგენილია შპს „ალმას“ წერილები.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „ალმას“ შორის 2019

წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში განხორციელდება ცვლილება - ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაიზრდება 12 (თორმეტი) თვით და განისაზღვრება 2041 წლის 07 აგვისტომდე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში დასახელებული ცვლილების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას და ხელშეკრულების მოქმედების 12 თვით გაზრდაზე თანხმობის გაცემას, სასურველია, აღნიშნული მიეთითოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში და განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შესაბამის რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ცოტნე კობერიძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა და ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ მხარი არ დაუჭირეს განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებითა

(შემდგომში ოქმები) და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემული ნებართვებით გამოვლენილ გამარჯვებულ პირებზე, გარე რეკლამის ნებართვის საფასურის გადაუხდელობისთვის, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით, შპს „აუთდორ.ჯი“-სათვის-ჯამში 52 381,90 ლარის, ხოლო, შპს „სმოდ ედვერთაისინგი“-სთვის - ჯამში 33 307,20 ლარის ოდენობით, პირგასამტეხლოს განსაზღვრს თაობაზე, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის გაცემას.

როგორც საკითხის წარმომდგენმა ისაუბრა, წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს, თანხმობის გაცემას - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს, ზემომითითებულ სუბიექტებთან, შესაბამისი შეთანხმებების გაფორმება, ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების დანართის შესაბამისად.

სერგო ბირკაძემ განავრცო საკითხი და განმარტა, რომ ოქმებისა და სანებართვო პირობების მიხედვით, გარე რეკლამის სანებართვო პირობების დარღვევა იწვევს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობას. ნებართვის მფლობელების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. ამასთან, პირგასამტეხლოს ოდენობა აღნიშნული ოქმებითა და სანებართვო პირობებით განსაზღვრული არ არის. პირგასამტეხლოს ოდენობა ასევე არ არის განსაზღვრული ოქმების საფუძვლად არსებული კანონმდებლობით.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ შპს „აუთდორს ჯის“ 2010 წლის 08 ივლისის და შპს „მაგი სტილი მედიას“ 2010 წლის 13 ივლისის წერილების გათვალისწინებით, 2010 წლის 06 აგვისტოს გამოიცა „2009 წლის 3 აპრილს ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ გამართულ აუქციონში გამარჯვებულ სარეკლამო კომპანიებთან პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმების გაფორმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის №22.20.1062 დადგენილება, რომლის თანახმად, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის გადაუხდელობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრებოდა გადასახდელი საფასურის 0,1%-ის ოდენობით. აღნიშნული დადგენილების აღსრულების მიზნით, განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული იქნა ნებართვის მფლობელებთან განკარგულების დანართით განსაზღვრული შესაბამისი შეთანხმების გაფორმება, თუმცა მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმება არ გაფორმებულა.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ნებართვების მფლობელების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ წერილებსა და განკარგულების პროექტის განმარტებით ბარათზე დაყრდნობით, 2020-2021 წლების პერიოდში დარღვეული იქნა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის გადახდის ვალდებულება, კერძოდ:

- ✓ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 20 მაისის და 2021 წლის 24 სექტემბრის წერილებით ნებართვების მფლობელებს პირგასამტეხლოს სახით ეთხოვათ ყოველი

ვადაგადაცილებული დღისთვის გადაუხდელი თანხების 0.1%-ის გადახდა, თუმცა, სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებებით, ნებართვების მფლობელები არ დაეთანხმნენ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს, იმ დასაბუთებით, რომ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა კანონმდებლობით, შესაბამისი ოქმით ან სანებართვო პირობებით გათვალისწინებული არ არის.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი შპს „აუთდორ.ჯის"და შპს „სმოდ ედვერთაისინგის" ნებართვის მფლობელებმა თანხმობა განაცხადეს გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის გადაუხდელობისათვის, პირგასამტეხლოს სახით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით (ჯამში: შპს „აუთდორ.ჯის" მიმართ - 52 381,90 ლარი, ხოლო შპს „სმოდ ედვერთაისინგის" მიმართ - 33 307,20 ლარი) განსაზღვრაზე/გადახდაზე. (დღეის მდგომარეობით სრულად არის გადახდილი).

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს სამართლიან და გონივრულ ოდენობამდე შემცირების შემთხვევებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე. არაერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით: მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველმყოფი ვალდებულება.

სერგო ბირკაძის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და მიზანშეწონილად მიიჩნია, ნებართვის მფლობელებისათვის გარე რეკლამის ნებართვის საფასურის გადაუხდელობისთვის, პირგასამტეხლოს განსაზღვრა - ვალდებულების დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით: შპს „აუთდორ.ჯი" - ჯამში 52 381,90 ლარი; შპს „სმოდ ედვერთაისინგი" - ჯამში 33 307,20 ლარი, ხოლო, საკითხის საკრებულოსთან შეთანხმება.

დასასრულს, იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა შეცდომად შეაფასა ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულებაში არ იყო განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა, რომელიც კომპანიას უნდა გადაეხადა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, პროექტის პირველი პუნქტი და პროექტის მე-2 პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად. ამასთან, მიზანშეწონილია, მთავრობის №22.415.473 განკარგულების დანართი N1 და დანართი N2-ით განსაზღვრული შეთანხმებების პროექტებში სწორი ფორმით მიეთითოს „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის N05.10.119 დადგენილების სათაური და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

საკითხის მომხსენებელი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარი მიერ მითითებულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. **იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „სს „საქართველოს ბანკის" (ს/კ 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც სერგო ბირკაძემ განმარტა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას შემდეგ ღონისძიებებზე:

- მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად გააფორმოს მორიგების აქტი სს „საქართველოს ბანკს" და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის.

- მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შეთანხმების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად სს „საქართველოს ბანკს, სს „თიბისი ბანკს" და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის.

საკითხის წარმომდგენმა ასევე განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულებით, სს „საქართველოს ბანკი" განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა

ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას. აგრეთვე, საბაგირო გზით „რიყე-ნაყირალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა „მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფებით მოსარგებლე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული სსიპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარეო (კომერციული) იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტების სამგზავრო პლასტიკური ბარათებით უზრუნველყოფაზე ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ უფლებამოსილ სუბიექტად და უფასო და შეღავათიანი სამგზავრო ტარიფებით მოსარგებლე ამავე კატეგორიის პირებისათვის საბანკო ბარათების (რომლის გამოყენებაც ზემოხსენებული კატეგორიის პირებს შეეძლებათ, მათ შორის, სამგზავრო პლასტიკური ბარათის სახით) არაექსკლუზიურად გამოცემაზე უფლებამოსილ პირად 2018 წლის პირველი ოქტომბრიდან.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ სს „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენელმა 2018 წლის 24 ოქტომბრის სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიმართა და მოითხოვა:

- ბათილად იქნას ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულება;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“დაევალოთ 2017 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ყველა კატეგორიის მოქალაქეთა მონაცემების, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებით გათვალისწინებული მონაცემების, მომსახურების გაცემისათვის საჭირო ფორმით სს „საქართველოს ბანკისათვის“ გადაცემა.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა იქვე დასძინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსაჩელე სს „საქართველოს ბანკის“ სარჩელი. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

საკითხის წარმომდგენმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ სს „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენელმა 2022 წლის 11 აპრილს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ზემოაღნიშნული დავის მორიგებით დასრულების წინადადებით, წარმოადგინა მორიგების აქტი და შეთანხმების პროექტები აღნიშნული პროექტების თანახმად, სს „საქართველოს ბანკი“: გონივრულ პირობებზე შეთანხმების საფუძველზე, პენსიონერებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გასაცემლების გაცემაზე უფლებამოსილ/დელეგირებულ (შესაბამისი ორგანოს მიერ გამოცხადებული კონკურსის ან

სხვა ფორმით) კომერციულ საბანკო დაწესებულებას (შემდგომში - უფლებამოსილი ბანკი), საშუალებას მისცემს, რომ უფლებამოსილი ბანკის მიერ გაცემული საბანკო პლასტიკური ბარათის ან გადახდის სხვა საშუალებების (გარდა სატრანსპორტო ბარათისა, რომლის გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილია სს „საქართველოს ბანკი") მფლობელმა პენსიონერებმა ისარგებლონ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ამასთან, უფლებამოსილ ბანკს, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, საშუალებას მისცემს ხელშეკრულების მე-9 მუხლით დადგენილი და სს „საქართველოს ბანკსა" და უფლებამოსილ ბანკს შორის დამატებით განსაზღვრული გონივრული პირობების საფუძველზე, ჩაერთოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ღია სისტემაში.

სერგო ბირკაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და მორიგების აქტის პროექტის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" იღებენ ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, N20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ზ" ქვეპუნქტებით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით, N6-25 დადგენილებით გათვალისწინებული მონაცემები, მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფორმით, გადასცენ სს „საქართველოს ბანკს", ხოლო N20-81 დადგენილებით განსაზღვრული სხვა კატეგორიის მქონე პირების მონაცემებთან მიმართებით, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყონ სს „საქართველოს ბანკს" შესაბამისი მონაცემების N6-25 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებისგან მოპოვებაში;
- ამასთან, სს „საქართველოს ბანკი", იღებს ვალდებულებას, მორიგების აქტის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების მიზნით, მორიგების აქტის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს N6-25 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრულ პირებს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" იღებენ ვალდებულებას, სს „საქართველოს ბანკის" მიერ N6-25 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებისგან ინფორმაციის შეთანხმებული ფორმით მოპოვებამდე, უზრუნველყოფენ შესაბამისი კატეგორიის პირებისათვის სამგზავრო პლასტიკური (სატრანსპორტო) ბარათის დამზადებას და გაცემას;
- ამასთან, მორიგების აქტის მიხედვით, მხარეებს შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, მორიგების დამტკიცების გზით. მხარეები უარს ამბობენ დავის ფარგლებში ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებაზე და მხარეებს არ აქვთ უფლება ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

საკითხის წარმომადგენლმა იქვე დასძინა, რომ 2019 წლის 30 იანვარს სს „თიბისი ბანკმა" განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიას და იშუამდგომლა ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე, რაც არ დაკმაყოფილდა, მოგვიანებით, ბანკის მიერ აღნიშნული გასაჩივრდა კერძო საჩივრით, თუმცა, 2021 წლის 23 მარტს მიმართა სასამართლოს, რითაც უარი თქვა მის მიერ წადგენილ საჩივარზე.

როგორც მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, გარდა მორიგების აქტის პირობებისა, შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს დამატებით შემდეგ პირობებს:

- შეთანხმების პროექტის მე-8 პუნქტის თანახმად, სს „საქართველოს ბანკი" აცხადებს და ადასტურებს, რომ დედაქალაქის მერიას აქვს უპირობო და შეუზღუდავი უფლება, განსაზღვროს ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების პირობები და გამოუშვას ამგვარი აბონიმენტები ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის. ამასთან, მერიის მიერ დანერგილი ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების დამზადების, გაცემის და შემდგომი ტექნიკური მართვის უფლებამოსილება, გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა, ენიჭება მხოლოდ სს „საქართველოს ბანკს", მისი სერვის-ცენტრების, გადახდის აპარატების ან სხვა საშუალებებით. სს „საქართველოს ბანკი" ასევე აცხადებს, რომ რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, რომ რეზიდენტი და არარეზიდენტი საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო პლასტიკური ბარათის ან გადახდის სხვა საშუალებების (გარდა სატრანსპორტო ბარათისა, რომლის გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილია სს „საქართველოს ბანკი") მფლობელებმა ისარგებლონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცემული ჯერადი და ვადიანი აბონიმენტებით ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ამასთან, რეზიდენტი და არარეზიდენტი საბანკო დაწესებულებების მიერ, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, სს „საქართველოს ბანკმა" საშუალება უნდა მისცეს რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს, ხელშეკრულების მე-9 მუხლით დადგენილი და სს „საქართველოს ბანკის" მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული პირობების საფუძველზე, ჩაერთონ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ღია სისტემაში ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში;
- შეთანხმების მე-10 პუნქტის თანახმად, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად, სს „საქართველოს ბანკი" ადასტურებს, რომ სხვა რეზიდენტ და არარეზიდენტ კომერციულ ბანკებს აქვთ უფლება, შეუზღუდავად, თავიანთი შეხედულებისამებრ, საკუთარი ხარჯითა და რისკით განსაზღვრონ ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების პირობები და გამოუშვან ამგვარი აბონიმენტები, ხოლო სს „საქართველოს ბანკი" ვალდებულია, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების საფუძველზე, ამგვარი ჯერადი და ვადიანი აბონიმენტები ჩართოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის სისტემაში ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა:

- ცნობად იქნას მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება;
- მოწონებულ იქნას და შესათანხმებლად წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად წარმოდგენილი მორიგების აქტის პროექტი, რაც უნდა გაფორმდეს სს „საქართველოს ბანკს" შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და სს „თიბისი ბანკს" შორის; ასევე, ქალაქ თბილისის მთავრობის დანართი N2-ის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, სს „საქართველოს ბანკს სს „თიბისი ბანკს" და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტის გაფორმების საკითხები.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული განკარგულებით, ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის N21.1020.1167 განკარგულება.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ გააჟღერა ტექნიკური სახის შენიშვნები, საკითხის მომხსენებელი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა** მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **თამარ მელიქიშვილმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.026.024) 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მანანა ქვათაძისთვის (პ/ნ: 01030002340) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 31 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მანანა ქვათაძისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 580 (ხუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარი.

მომხსენებლის თქმით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება შემდეგი რეკომენდაციით: განთავსდეს მსუბუქი დიზაინის მქონე ავეჯი.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N39 სუნდუკიანის ქუჩა N41/1-ში მდებარე უძრავი ქონება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა მხარი არ დაუჭირა განკარგულების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით, ცვლილებები ხორციელდება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში, კერძოდ დადგენილების მე-2 მუხლის პირველ პუნქტს, ემატება „ლ³" ქვეპუნქტი, რომლითაც ,,შპს ,,ეკოსერვის ჯგუფში" მომუშავე მძღოლებს, მებაღეებს, დამლაგებლებს, მთიბავებს, დამხმარე მუშებს, ელექტრიკოსებს, ძრავის შემკეთებლებს, შადრევნის მრეცხავებს, სპეციალისტებს, მჭრელებს, მხერხავებს, მუშებს მიეცემათ უფასო მგზავრობის უფლება მუნიციპალური ტრანსპორტით (მეტრო, ავტობუსები M2, M3 კატეგორია).

ვასილ აბულაძის თქმით, ასევე, წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, ,,შპს ,,ეკოსერვის ჯგუფში" მომუშავე პირებისთვის დგინდება თითოეული პირისთვის კალენდარული თვის განმავლობაში დადგენილებით განსაზღვრული ყველა სახის ტრანსპორტით ჯამში მაქსიმალური რაოდენობის მგზავრობა რიგ შემთხვევაში 100 მგზავრობის ოდენობით.

სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ იქვე დასძინა, რომ შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი" წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ანხორციელებს გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობას.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ცოტნე კობერიძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა მხარი არ დაუჭირა დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული 30-ე საკითხად წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81-ში ხორციელდება ცვლილება, რომლის მიხედვით „შპს „ეკოსერვის ჯგუფში“ მომუშავე გარკვეული კატეგორიის თანამშრომლებს ეძლევათ უფასო მგზავრობის უფლება (მეტრო, ავტობუსები M2, M3 კატეგორია).

ვასილ აბულაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81- ში ცვლილება, იწვევს და საჭიროებს, საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სახით, რითაც, „შპს „ეკოსერვის ჯგუფში“ მომუშავე პირებისათვის, უფასო მგზავრობის უფლების მინიჭების შემდგომ, ამგვარი უფლების მქონე კატეგორიების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, მათ შესახებ, უფლებამოსილ ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს „შპს „ეკოსერვის ჯგუფი“.

საკითხის წარმომდგენმა თქვა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში და დადგენილების მე-5 მუხლს, „ვ2“ ქვეპუნქტის შემდეგ, შემდეგი შინაარსის „ვ3“ ქვეპუნქტის დამატებას:

„ვ^{3}) პირველი პუნქტის „ლ^{3}“ ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით - შპს „ეკოსერვის ჯგუფს“;“.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ცოტნე კობერიძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა მხარი არ დაუჭირა დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32-33. სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **დავით ჯაიანმა**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, შემდეგი დადგენილებების პროექტები;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელის თქმით, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 16 აპრილიდან დედაქალაქის მოსახლეობას ავტობუსებისა და მიკროავტობუსების (M2- M3 კატეგორია) ახალი მარშრუტები ეტაპობრივად მოემსახურება. მისივე თქმით, ამოქმედდება ავტობუსის შვიდი და მიკროავტობუსის ათი ახალი მარშრუტი.

საკითხის წარმომდგენმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებში განსახორციელებელ ცვლილებებზე. მანვე, აღნიშნა, რომ ავტობუსების გარკვეულ მარშრუტებზე იცვლება მოძრავი ერთეულების რაოდენობა, მცირდება ინტერვალები და ასევე, გრძელდება რამდენიმე მარშრუტი.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილებების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის. ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა** მხარი არ დაუჭირა დადგენილებათა პროექტების მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - მარიამ ჩივაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის შესაბამისად, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველთვიურ დაფინანსებას მიიღებს 1545 ბენეფიციარი 1375-ის ნაცვლად. აღნიშნული ცვლილებით ბენეფიციარების საერთო ლიმიტი იზრდება 170 ერთეულით.

საკითხის წარმომდგენმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განხილვის დროს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, ყოველთვიური დაფინანსების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობის 5 (ხუთი) ერთეულით გაზრდის შესახებ საკითხი. შესაბამისად, საკითხის წარმომდგენის მითითებით, ყოველთვიური დაფინანსების მიმღებ ბენეფიციართა ოდენობა გაიზრდება 1550 (ათას ხუთას ორმოცდაათი) ერთეულამდე.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა მხარი არ დაუჭირა დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18

მარტის №8-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 18 მარტის N8-19 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „დანართი 2"-ის ცხრილის 30-ე-33-ე გრაფების მოქმედება არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა 2022 წლის 1 აპრილამდე გაიცა". ამასთანავე, მომხსენებლის თქმით, დადგენილება ვრცელდება 2022 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ კანონმდებლობით დაწესებულია მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე. მისივე თქმით, 2022 წელს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელებს - დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და ინდივიდუალურ მეწარმეებს დაემატა მშენებარე ობიექტები (რომლებიც ამ ცვლილებამდე არ იყვნენ განსაზღვრული მოსაკრებლის გადამხდელებად). ამ ცვლილებებით მშენებარე ობიექტებს, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა ტიპის სამშენებლო სამუშაოებს, დაუწესდათ დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთები. ამასთანავე, ამ ცვლილებების მიზანი იყო ის, რომ მოსაკრებლის გადამხდელთა ახალ კატეგორიებზე (მშენებარე ობიექტებზე), მოსაკრებლის დარიცხვა განხორციელებულიყო ახალი ნებართვის მფლობელებზე, კერძოდ იმ ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა 2022 წლის 1 აპრილიდან. აღნიშნული აისახა კიდეც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №8-19 დადგენილების მე-2 მუხლში.

სერგო ბირკაძის თქმით, წარმოდგენილი ცვლილება არის ტექნიკური ხასიათის, ხელახლა აყალიბებს №8-19 დადგენილების მე-2 მუხლს, რომელიც აზუსტებს, რომ ეს ცვლილება ეხება მხოლოდ მოსაკრებლის გადამხდელთა ახალ კატეგორიებს - მშენებარე ობიექტებს, კერძოდ იმ ობიექტებს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა 2022 წლის 1 აპრილიდან.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა და ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ მხარი არ დაუჭირეს დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის" მე-9 მუხლში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, დადგენილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული „დანართი #2"-ის (დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული პირებისათვის და მშენებლობის ნებართვის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი) ცხრილის 30-ე-33-ე გრაფებით განსაზღვრული მოსაკრებლის გადამხდელებისათვის, ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით მოსაკრებლის გადახდა, მათ შორის, წარმოადგენს სამშენებლო/სანებართვო პირობას.".

სერგო ბირკაძის განმარტებით, №17-46 დადგენილებაში 2022 წელს განხორციელებულ ცვლილებათა შესაბამისად, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელებს - დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და ინდივიდუალურ მეწარმეებს დაემატა მშენებარე ობიექტები (რომლებიც ამ ცვლილებამდე არ იყვნენ განსაზღვრული მოსაკრებლის გადამხდელებად). ამ ცვლილებებით მშენებარე ობიექტებს, რომლებიც ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ეწევიან სხვადასხვა ტიპის სამშენებლო სამუშაოებს, დაუწესდათ დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთები. მისივე თქმით, როგორც წესი მოსაკრებლის დარიცხვა ხდება ელექტრო ენერგიის აბონენტის ნომერზე, რომლითაც ობიექტი სარგებლობს საქმიანობის პროცესში. მოსაკრებლის გადაუხდელობის ან არასრული გადახდის შემთხვევაში, დავალიანების გადახდამდე მომხმარებელს შეუწყდება ელექტრო ენერგიის მიწოდება.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ამ კატეგორიის მოსაკრებლის გადამხდელები წარმოადგენენ შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მფლობელებს, პროცესი კიდევ უფრო მოქნილი იქნება, თუ მათ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება განესაზღვრებათ როგორც სამშენებლო/სანებართვო პირობა. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მიმღებ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მხრიდან დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობა, ჩაითვლება სამშენებლო/სანებართვო პირობის დარღვევად, რაც გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობას.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2022 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ

ურთიერთობებზე. ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა** და ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **ცოტნე კობერიძემ** მხარი არ დაუჭირეს დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ - **მამუკა ჯაყელმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №28-96 დადგენილებაში და ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილების პრეამბულა, დადგენილებით დამტკიცებული წესის სათაური და ცალკეული მუხლები. ამასთან, დადგენილების აღნიშნულ ნაწილებში ემატება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა კოდექსი“ -ს „158[5] **მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები“.**

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ დაემატა 158[5] მუხლი** (აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელების, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების ან/და აბრის განთავსების წესის დარღვევა). ცვლილება შეეხო „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209[3] მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს, კერძოდ, 158[5] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, ამ

კოდექსის 290[6] მუხლის გათვალისწინებით, განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

მამუკა ჯაყელის თქმით, ასევე, ზემოაღნიშნული კოდექსის 158[5] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ამ კოდექსის 290[6] მუხლის გათვალისწინებით ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, მუნიციპალური ინსპექცია წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს რეკლამის, აბრის განთავსების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, მათ შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლი, აგრეთვე რეკლამაზე, აბრაზე სახელმწიფო ენის დაცვის მოთხოვნებისა და ტრანსლიტერაციის შესაბამისობაზე კონტროლი, შესაბამისად, საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში აისახოს აღნიშნული ცვლილება.

დასასრულს, მამუკა ჯაყელმა განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის ბიუჯეტიდან, ამასთან, სამართლებრივი აქტის პროექტი არ გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა კოდექსიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი ტექნიკური შენიშვნებისა, კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნები საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა.

კომისიის თავმჯდომარემ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა შემდეგი სახის შენიშვნები:

- მიზანშეწონილია, პროექტის სამართალებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი N1190-VIIრს-Xმპ და პრეამბულა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
- იმის გათვალისწინებით, რომ „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანება და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005

წლის 30 აგვისტოს №824 ბრძანება ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N222 ბრძანებითა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N223 ბრძანებით, მიზაშეწონილია, დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებული წესის პირველი მუხლიდან ამოღებულ იქნას აღნიშნული ძალადაკარგული სამართლებრივი აქტები და მათ ნაცვლად მითითებულ იქნას ახალი სამართლებრივი აქტები, ამდენად, დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;

- მიზანშეწონილია, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული - საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრების წესი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდართვევათა კოდექსის 2093 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად (გარდა, „ნარჩენების მართვის კოდექსის ამავე წესით განსაზღვრული მუხლების გასაჩივრების წესისა, რაც, ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, ითვალისწინებს, რომ ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი დამრღვევის მიერ საჩივრდება სასამართლოში);
- ამასთან, ამავე მუხლის 1^1 პუნქტში, უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ნაცვლად „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისა“ უნდა მიეთითოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“ და აღნიშნული მუხლის პირველი და 1^1 პუნქტები ახალი რედაქციით, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა** და ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **ცოტნე კობერიძემ** მხარი არ დაუჭირეს დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

გაიოზ თალაკვაძემ დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილება წარადგინა, რომელიც მერიის სარეზერვო ფონდის ორი მილიონი ლარით გაზრდას ითვალისწინებს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების

აღსრულების ფონდის შემცირების ხარჯზე. მისივე თქმით, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 392 079,0 ათას ლარს.

როგორც გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წინადადების გათვალისწინებით, შშმ სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტით დამტკიცებულ ქვეპროგრამას - „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ შეეცვალა სახელი და განსაზღრულია შემდეგი სახელწოდებით "სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“ შესაბამისად, დაზუსტდა ქვეპროგრამის აღწერილობითი ნაწილი.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 317 299,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით. ამასთან, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 242 199,5 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 54 248,9 ათასი ლარით.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია დადგენილების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება. ამასთან, სასურველია დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ცოტნე კობერიძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა მხარი არ დაუჭირა დადგენილების პროექტის მიღებას,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში წარუდგინა. მან გასული წლის ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2021 წლის დედაქალაქის ფინანსური დოკუმენტი შემოსავლების ნაწილში გადაჭარბებით შესრულდა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების

გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგი სახით:

- 2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 70,353.2 ათასი ლარი.
- სულ შემოსულობების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა გეგმის 102.2%;
- გადასახდელების გეგმის საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის 96,2%;
- შემოსავლების შესრულების გეგმამ შეადგინა 101.6% და მთლიანი შემოსულობების - 93.4%.
- გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 736,080.7 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 102,5%;
- საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 201,131.6 ათასი ლარი, შესრულდა – 95,4%–ით; მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 199.7 ათასი ლარი;
- ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 95,479.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 103.8%-ია.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 13,736.4 ათასი ლარიდან გადარიცხულია 13,390.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 2,123.8 ათასი ლარი;
- მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 54.4 ათასი ლარი;
- მოქალაქეთა სწავლის დასაფინანსებლად - 3.0 ათასი ლარი;
- ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, გ. ლეონიძის ქ.#13-ის მიმდებარედ (ს/კ 01.20.01.117/072) ფორმირებული მეწყერის სალიკვიდაციო გადაუდებელი ღონისძიების - პროექტირებისა და სამუშაოების განხორციელების მიზნით - 1.999,1 ათასი ლარი;
- ქალაქ ბათუმში, 2021 წლის 8 ოქტომბერს, 26 მაისის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა თანადგომისა და მხადაჭერის მიზნით - 500.0 ათასი ლარი;
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპესაციო თანხები ნაძალადევის რაიონში –29 300,00;
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპესაციო თანხები ვაკის რაიონში –445 425,00 ლარი;
- სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში 34 116,90 ლარი; ნაძალადევის რაიონში 51 565,00 ლარი; ვაკის რაიონში 62 945,00 ლარი; საბურთალოს რაიონში 97 100,00 ლარი; ისნის რაიონში 39 377,00, სამგორის რაიონში 60 956,39 ლარი, მთაწმინდის რაიონში 6 600,00 ლარი,
- სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა 3 012,50 ლ. და სხვ;

დასასრულს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ისაუბრა დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტების გეგმების შესრულების პროცენტულ მაჩვენებლებზე შემდეგი სახით:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - გეგმის 97%-ით;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - გეგმის 95.8%-ით;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - გეგმის 95.6%-ით;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - გეგმის 97.3%-ით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - გეგმის 98.9%-ით;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - გეგმის 99.2%-ით;
- განათლება - გეგმის 97.3%- ით;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - გეგმის 86.3%-ით;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - გეგმის 98.7%-ით;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - გეგმის 91.8%-ით.

აზრი გამოთქვა:

როგორც ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ საკითხზე მომზადებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ცოტნე კობერიძემ,

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა და ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ მხარი არ დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების საკითხი, კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნის გათვალისწინებით, განხილულ იქნეს ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

40. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე ერვრებს წარუდგინა, მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ: N01.10.07.007.093) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე საკითხი.

დასაწყისისთვის კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა რომ:

✓ დაუმთავრებელ მშენებლობად მიიჩნევა ობიექტი, რომელზეც მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო 2013 წლის 1 იანვრამდე და ამასთანავე, აღნიშნული ნებართვის საფუძველზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, თუმცა ობიექტი არ არის დასრულებული.

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ისეთი ობიექტების დაუმთავრებელ მშენებლობად მიჩნევის შესახებ, რომლებზეც არსებობს მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესი.

✓ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების სახით შესაძლებელია, განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომადინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მიმართა შპს „ქოზი ჰოუმ თბილისმა" და ითხოვა ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული მშენებლობის დაუმთავრებელ მშენებლობად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2016 წელს. აღნიშნული მშენებლობა წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელსაც ჰყავს 170-მდე დაზარალებული ოჯახი. დაზარალებულთა ნაწილი თავის მხრივ წარმოადგენს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირებს, რომელთაც სწორად ამ ნიშნით გადაეცათ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. შემდგომში აღნიშნული მიწის ნაკვეთი სამშენებლო განვითარების მიზნით გადაეცა შპს „ფენიქს კონსტრაქშენს" რომლის დირექტორმა ფართების ნაწილი გაასხვისა სხვადასხვა პირებზე, ნაწილი კი იპოთეკით დატვირთა. ყველა ზემოხსენებული პირი დღეის მდგომარეობით დაზარალებულია, ხოლო კომპანიის დირექტორი დაკავებული.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, შპს „ქოზი ჰოუმ თბილისი" ოთხ წელზე მეტია წარმატებით ახორციელებს მშენებლობას სხვადასხვა ლოკაციებზე. მისამართზე - არჩილ მეფის ქუჩა N25ბ მდებარე მშენებლობის დასრულებისათვის, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ხსენებული მშენებლობა შეყვანილ იქნეს დაუმთავრებელ მშენებლობათა ნუსხაში, რაც გამოიწვევს

გარკვეული შეღავათების გავრცელებას მშენებლობის შემდგომი გაგრძელებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომპანია ახორციელებს მშენებლობას მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში კ2 კოეფიციენტის გაზრდის შემთხვევაში პროექტის შეთანხმებისას ქალაქგეგმარებითი კუთხით დაცული იქნება ყველა პირობა, მოხდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე კ2 კოეფიციენტის გადანაწილება და დაზარალებულთა სრულად დაკმაყოფილება.

დასასრულს, **კომისიის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ, მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნას, შესაბამისი განკარგულების პროექტი, რაც დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ საკითხზე მომზადებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ონიანმა** მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ საკითხს და გადაწყვიტეს რომ **კომისიის დასკვნაზე თანდართული,** ,,მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ: N01.10.07.007.093) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ **საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ უნდა იქნეს ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		**ლევან ჟორჟოლიანი**
სხდომის მდივანი		**ნინო ჯალაღანია**